პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 მაისი, შაბათი, 1989 წ.
№ 95 (10 014) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის თასზე

ახლა—ნახევარფინალი

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 2:0 (1:0).
თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 17 მაისი.

„დინამო“: ხაპოვი, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე, სვანაძე, ცვეიბა, ცავა (ქეცბაია, 75), კაჭარავა (ახუცაური, 86), გოგიჩაიშვილი.

„სპარტაკი“: ჩერჩესოვი, ბაზულევი, კულკოვი, მოროზოვი, პუშნოვი, ბოკი, კუზნეცოვი, კაპუსტინი (შალიმოვი, 89), შმაროვი, ჩერენკოვი, როდიონოვი.

მსაჯი ვ. მედვედცკი (ვოლუსკი).

გაფრთხილეს კეტაშვილი, მოროზოვი.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)! ამ წყვილის მეტოქეობა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშებათა მთელს ისტორიაში ერთ-ერთი უხვსი, ტრადიციული და მეტად საინტერესო მათს სათასო ურთიერთობებს დაბამი მიეცა ჯერ კიდევ ამ პრი-

სურათზე: ასე გავიდა პირველი ბურთი სპარტაკელთა კარში.

ზის გამარჯვებული ეტაპზე მატჩების ორივე კოვნენ 3:1 და დინამოელებმა ფრის მიაღწიეს — 3:3, გადათამაშებაში კი, პირიქით, დაუნაურდა „დინამო“, სპარტაკელებმა კი წონასწორობა აღადგინეს 3:3 და თბილისელებმა დამატებით დროში კიდევ 3 „შვრალი“ ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში. სწორედ მაშინ მიიღო თბილისელმა „დინამომ“ უმაღლესი კლასის გუნდის „პასპორტი“.

მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა. „სპარტაკი“ და „დინამო“ ერთმანეთს შეხვედრიან თასის სწყინს ფაზაში და დასკვნით, ფინალურ მატჩშიც, და ყოველთვის, რა ეტაპზეც უნდა შემდგარიყო ეს შეხვედრები, თამაში იყო ყველაზე საინტერესო.

ახლა, როცა საკავშირო თასის მეოთხეფინალში ერთმანეთს კვლავ შეხვდნენ ძველი მეტოქეები, ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებაში ამ განსხვავებული პოზიციები უკიდურესად დაუმარცხებელნი არიან დაერთპიროვნულად ლიდერობენ საკავშირო ჩემპიონატს, მათი ამასწინანდელი გამარჯვება კიევში, დინამოელებმა (4:1), ახლაც საუკეთესო თამაშის უტყუარ ეტალონად მიგვაჩნია. დინამოელებს, რა დასამალია, ასეთი მაჩვენებლები ჯერ არა აქვთ, გუნდის ახალგაზრდული შემადგენლობა მხოლოდ ახლა ეძებს თავის თამაშს, ეძებს გზებს აღრინდელი სიძლიერის აღსადგენად.

ეს რაც ფეხბურთის შეეხება. მაგრამ ფეხბურთის გარდა არსებობს ჩვენი გუნდის საერთო პოტენციალი და ნამდვილი მამულიშვილობის. შეფასების სხვა კრიტერიუმებიც. სადღეისოდ შექმნილ ვითარებაში გუნდის გულშემატკივრები მოითხოვდნენ გამარჯვებას, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებას. ეს ჩვენ ყველას გვესაჭიროებოდა.

მოთხოვნა ადვილია. გამარჯვების სურვილით გამსჭვალული ვიყავით დიდიან პატარიანად ყველანი, ჩვენ,

იხ. მე-3 გვ.

ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ...

ნება მომეცით, თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართო საქართველოს ტელევიზიას.

დღეს ჩვენ საჯაროობის ხანაში ვცხოვრობთ. ეს ყველასთვის ცნობილია, ჰოდა, რაკი საჯაროობაა, საჯაროობა იყოს...

თუ 9 აპრილის ხოცვა-ჟლეტას ვუჩვენებთ მაყურებელს, საფეხბურთო რეპორტაჟების დროს მინდორზე ატეხილი კინკლაობა რა დასამალია! გავიხსენოთ სათასო მატჩი „დინამო“ — „სპარტაკი“. მწვანე მინდორზე მომხდარი აყალმაყალი ისეთივე განუყოფელი ნაწილია მატჩისა (თუნდაც ხოკეის მატჩები ავიღოთ), როგორც გატანილი გოლი. სხვა საქმეა, კარგია ეს, თუ ცუდი. თუ ვინმეს ჰგონიაც, რომ კამერის მორცხვად მიტრიალებით ორთაბრძოლის რედაქტირებას მოვახდენთ, სცდება: ტელემაყურებელი გაცილებით მეტს წარმოიდგენს, ვიდრე ეს ხდება სინამდვილეში.

დისციპლინას, ვისაც ეს ეხება იმათ მიხედონ, ტელემუშაკებმა კი ასახონ ყოველივე — კარგიც და ცუდიც. დასკვნებს მაყურებელი თავად გააკეთებს.

ალექსანდრე ჟღენტი.
თბილისი.

პატივცემულო რედაქცია!

აზრი, ვეხმაურებით

რომელსაც ვუერთდებით

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 18 მაისის ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი“ საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ერთი ჯგუფის წერილი, რომელშიც დასმულია მთელი რიგი საკითხები საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში რეპუბლიკის უფლებების გაფართოებასთან დაკავშირებით. „ლელოს“ რედაქცია მხარს უჭერს ჩვენს ახალგაზრდულ გაზეთში გამოქვეყნებულ ამ ჯგუფური წერილის შინაარსს. ამას წინათ, 11 მაისის ნომერში ჩვენ თავადაც წამოვაყენეთ წინადადება ქართული სპორტის სუვერენული უფლებების საკითხებთან დაკავშირებით და სპეციალისტებს ვთხოვეთ შესაბამისი პუბლიკაციების მომზადება. იგივე თემაზე იყო მსჯელობა 15 მაისს საქართველოს სპორტსახკომში გამართულ ორშაბათობის ტრადიციულ თათბირზე, სადაც მოიწონეს აზრი ბალტიისპირეთში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის გამოცდილების გაზიარებისათვის საქართველოს წარმომადგენელთა მივლინების თაობაზე. საქართველოს სპორტსახკომში შეისწავლიან ჯგუფურ წერილში აღნიშნულ მოთხოვნებს, რათა შემდეგ შესაბამისი წინადადებებით წარსდგნენ ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოებში.

ინფორმაციებს მოგაწვდით.

ნახევარფინალები— ლონდონში

როგორც ქვენევიდან ახალგაზრდის კორესპონდენტი იტყობინება, ჰადრაჟში მსოფლიო ჩემპიონატის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები საბჭოთა დიდოსტატებს ანატოლი კარპოვსა და არტურ იუსუპოვს, აგრეთვე ჰოლანდიელ იან ტიმანსა და ჯონათან ახილმენს (ინგლისი) შორის გაიმართება ლონდონში და დაიწყება მომდინარე წლის ოქტომბრის პირველ კვირაში.

ცნობილია საპრიზო ფონდიც, რომელიც თითოეულ მატჩში შეადგენს 200 ათას შვეიცარიულ ფრანკს (დაახლოებით 120 ათასი დოლარი).

„ნორჩი ლენინელის“ პრიზზე

თბილისის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის ჭიდაობის სპეციალიზებულ სკოლაში (დიმის მასივი) 21-23 მაისს ჩატარდება ტრადიციული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში — საქართველოს მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ პრიზზე.

ტურნირი, როგორც წესი, მუდამ საინტერესოდ ტარდება და ჰაბუკთა შორის საკმაოდ დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. წლევანდელ ასპარეზობაში ძალებს მოსინჯავენ ქუთაისის, გორის, ამბროლაურის, ახმეტის, ლენტეხის, კასპის, მესტიისა და საგარეჯოს ნაკრები გუნდები. შეჯიბრება, რომლის მთავარი მსაჯია საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი, ყოველდღიურად 12 საათზე დაიწყება.

დეკეშები ნოემბერში

გთხოვთ გაზეთ „ლელოს“ მეშვეობით ჩემი, და არა მარტო ჩემი, უღრმესი მადლობა გადაეცით თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს და მის ხელმძღვანელობას. ვფიქრობ, არ არის საჭირო განმარტება რისთვის და რატომ.

1945 წლიდან „დინამოს“ თაყვანისმცემელი და არა გულშემატკივარი, ტელევიზიის რედაქტორი — **რევაზ კაცია.**

ჩვენო ქართველო ძმებო, დინამოელო ფეხბურთელებო! გილოცავთ სსრ კავშირის თასის ნახევარფინალში გასვლას, ძალიან გაგვახარეთ.

თქვენი და „არარატის“ გულშემატკივრების სახელით ვ. პოღოსიანი. ერევანი.

მუშათა სპარტაკიადა

მეტი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ

სპორტი — უველასთვის! ამ სიტყვების შინაარსი დღეს უველას კარგად ესმის. პროფესიული სპორტის გარდა არსებობს სამოყვარულო, მასობრივი სპორტი, რომელსაც ადამიანები მხნეობისა და ჯანმრთელობის განმტკიცების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევენ. და აი, გაჩნდა შუალედური ღონისძიება მასობრივსა და დიდ სპორტს შორის, რომელიც მშრომელებსაც აძლევს სპორტულ არენაზე თავგამოჩენის შესაძლებლობას — ესაა მუშათა სპარტაკიადა.

უკვე გაიმართა პირველი საკავშირო სპარტაკიადის ზონალური შეჯიბრებები. მცხეთაში ხაასპარეზოდ ჩამოვიდნენ დუშეთისა და ყაზბეგის რაიონების წარმომადგენლები. არადა, შეჯიბრების პროგრამა უველასთვის ახე ნაცნობი და ხელმისაწვდომი იყო, მშდ მრავალჭიდი, მძლეოსნური კროსი და ეხტაფეტები, მაგიდის ჩოგბურთი, ხაწონების აწევა, ქართული ჭიდაობა, ლახტი, პნევმატური შაშხანიდან ტყვიის სროლა და... უველასთვის ხასურველი, მაგრამ აკრძალულ ხილად ქცეული ხახეობა — ცურვა. ხხვათა შორის, ცურვაში ახპარეზობა არ ჩატარდა. რატომ? თუ მცხეთაში აუზი არ არის და იმიტომ, მაშინ რისთვის იგეგმებოდა შეჯიბრება ახეთ ქალაქში? თუ წინასწარ იცოდნენ, რომ ამ ხახეობაში რაიონები გუნდებს ვერ დააკომპლექტებდნენ, რატომ შეიტანეს პროგრამაში? ხამწუხაროდ, მცხეთაში ჩამოხული გუნდების უმრავლესობა უფრო ვალის მოხახდელად ახპარეზობდა. ამის დახტურად ისიც გამოდგება, რომ სპარტაკიადის დახკვნით მეორე დღეს, ხარბიელზე გამოდიოდა მხოლოდ ხამი კოლექტივი — კახპის, წალკისა და მახპინძელთა გუნდები. უმეტესობამ (დმანისი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრი წყარო) თავისი მისია პირველ დღეს ამოწურა. ეს ფაქტები სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს.



სურათებზე: ვაჟები 2 ათას მეტრის კროსის დისტანციაზე; ხაწონების აწევაში გამარჯვებული ნოდარ ხუბაშვილი.

გემალ კასრაძის ფოტოები

ახალი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

ცხენოსნობა

სათანრიგო მოთხოვნები

ჯგუფები და ჭალები

სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

დაიკავოს: I-VI ადგილები პირად ან I-III ადგილები გუნდურ ჩათვლაში ოლიმპიურ თამაშებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში;

I-III ადგილები პირად ან I ადგილი გუნდურ ჩათვლაში „ა" კატეგორიის საერთაშორისო შეჯიბრებაში.

ცხენის გაჯვრთნა

სსრ კავშირის საერთაშორისო სპორტის ოსტატი

სსრ კავშირის სპორტსახკომის სპორტის გამოყენებითი სახეობების სამმართველოს მიერ განსაზღვრულ საერთაშორისო შეჯიბრებებში, სსრ კავშირის ჩემპიონატებში, საკავშირო თასზე, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე „დიდი პრიზის" მფლობელმა მოაგროვოს გუნდური ან პირადი პროგრამით სულ ცოტა ქულათა 65%.

სსრ კავშირის სპორტის ოსტატი

I ჯგუფის შეჯიბრებაში „დიდი პრიზის" გუნდური და პირადი პროგრამით დაიკავოს I–VI ადგილები პირად ჩათვლაში.

I-III ადგილები პირად ჩათვლაში საშუალო და მცირე პრიზების პროგრამით I ჯგუფის შეჯიბრებებში;

საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში, მოზარდთა (იუნიორთა) საკავშირო პირველობების I ადგილი „პირადი პრიზის" გათამაშებაში.

I ჯგუფის შეჯიბრებაში „დიდი პრიზის" პროგრამით გუნდურ ან პირად გამოსვლაში დააგროვოს ქულათა სულ ცოტა 63%,

„დიდი პრიზის" პროგრამით II ჯგუფის შეჯიბრებაში I-III ადგილებზე გასულმა მხედარმა დააგროვოს ქულათა 63%.

სპორტის ოსტატობის კანდიდატი

ქულების სულ ცოტა 60% „დიდი პრიზის" გუნდური ან პირადი პროგრამით; ქულათა სულ ცოტა 62% საშუალო, მცირე, მოზარდთა (იუნიორთა) პრიზებში;

I თანრიგი

მოაგროვოს ქულათა სულ ცოტა 57% „დიდი პრიზის" გუნდური ან პირადი პროგრამით;

ქულათა სულ ცოტა 59% საშუალო, მცირე, მოზარდთა (იუნიორთა) პირველობებში.

სამჭიდი

სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

დაიკავოს I-III ადგილები და სსრ კავშირის სპორტსახკომის სპორტის გამოყენებითი სახეობების სამმართველოს მიერ განაზღვრულ საერთაშორისო შეჯიბრებაში I ჯგუფის შეჯიბრებაში და არა უმცირეს 6270 მ კროსში — დაიმსაზუროს არა უმეტეს 65 საჯარიმო ქულა სამჭიდის მთლიან პროგრამაში.

სსრ კავშირის სპორტის ოსტატი

დაიკავოს I ადგილი I ჯგუფის შეჯიბრების პირად ჩათვლაში;

I ადგილი პირად ჩათვლაში საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისა და სსრ კავშირის მოზარდთა (იუნიორთა) პირველობაში;

დაიკავოს VII-XII ადგილები და დაიმსახუროს არა უმეტეს 85 საჯარიმო ქულა სამჭიდის მთლიანი პროგრამის I ჯგუფის შეჯიბრებაზე;

მსგავს შეჯიბრებაზე ახალგაზრდა ცხენებით I-VI ადგილები და 70 საჯარიმო ქულა;

II ჯგუფის შეჯიბრებაზე სამჭიდის შემოკლებული პროგრამით ა, ბ, გ, დ მონაკვეთებზე სველე გამოცდაში დაიკავოს I-VI ადგილები და მიიღოს არა უმეტეს 70 საჯარიმო ქულა.

მსგავს II ჯგუფის შეჯიბრებაზე ა, დ მონაკვეთებზე (კოეფიციენტი— 1,0) დაიკავოს I-III ადგილები და მიიღოს არა უმეტეს 60 საჯარიმო ქულა.

სპორტის ოსტატობის კანდიდატი

დააგროვოს: სველე გამოცდის ა, ბ, გ, დ მონაკვეთებზე სამჭიდის შემცირებული პროგრამით არა უმეტეს 90 საჯარიმო ქულა;

არა უმეტეს 80 ქულა ა, დ მონაკვეთებზე, არა უმეტეს 100 საჯარიმო ქულა სამჭიდის სრული პროგრამით, არა უმეტეს 90 ქულა ახალგაზრდა ცხენებით I და II ჯგუფის შეჯიბრებაზე, არა უმეტეს 9% საჯარიმო ქულა სამჭიდის მოზარდთა პროგრამით.

I თანრიგი

დააგროვოს: არა უმეტეს 120 საჯარიმო ქულა სამჭიდის შეძოკლებული პროგრამით (ა, ბ, გ, დ);

არა უმეტეს 110 საჯარიმო ქულა სამჭიდის შემოკლებული პროგრამით, არა უმეტეს 90 ქულა ახალგაზრდა ცხენებით I და II ჯგუფის შეჯიბრებაზე;

მსგავს შეჯიბრებაზე ახალგაზრდა ცხენებით I-VI ადგილები და 70 საჯარიმო ქულა;

II ჯგუფის შეჯიბრებაზე სამჭიდის შემოკლებული პროგრამით ა, ბ, გ, დ მონაკვეთებზე სველე გამოცდაში დაიკავოს I-VI ადგილები და მიიღოს არა უმეტეს 70 საჯარიმო ქულა.

მსგავს II ჯგუფის შეჯიბრებაზე ა, დ მონაკვეთებზე (კოეფიციენტი— 1,0) დაიკავოს I-III ადგილები და მიიღოს არა უმეტეს 60 საჯარიმო ქულა.

„ხტომის სიმძლავრის" მარშრუტზე — წინაღობათა სიმაღლე 200 სმ I ჯგუფისა და საერთაშორისო შეჯიბრებაზე არ მიიღოს არც ერთი საჯარიმო ქულა.

სსრ კავშირის სპორტის ოსტატი

დაიკავოს I ჯგუფის შეჯიბრებაზე 150 სმ სიმაღლის (ან მეტი) მარშრუტზე I-III ადგილები პირად ჩათვლაში ან 140 სმ სიმაღლის მარშრუტზე I ადგილი პირად ჩათვლაში.

პირად ჩათვლაში დაიკავოს I ადგილი 150 სმ სიმაღლის მარშრუტზე (და უფრო მაღლა) საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში, სსრ კავშირის მოზარდთა (იუნიორთა) პირველობაზე.

მიიღოს არა უმეტეს 8 საჯარიმო ქულა 160 სმ სიმაღლის (ერთ გიტში) ან 16 საჯარიმო ქულა (ორ გიტში) ან მოიპოვოს I–VI ადგილები I ჯგუფის შეჯიბრებაში;

150 სმ სიმაღლის მარშრუტზე არა უმეტეს 4 (ერთ გიტში) ან 8 (ორ გიტში) საჯარიმო ქულა II ჯგუფის შეჯიბრებაში და დაიკავოს I-III ადგილები; უსაჯარიმო ქულებოდ განვლოს 180 სმ სიმაღლის მარშრუტი „ნახტომის სიმძლავრეზე" I ჯგუფისა და პაერთაშორისო შეჯიბრებებში.

სპორტის ოსტატობის კანდიდატი

150 სმ სიმაღლის მარშრუტზე მიიღოს არა უმეტეს 8 (ერთ გიტში) ან 12 (ორ გიტში) საჯარიმო ქულა;

140 სმ სიმაღლის მარშრუტზე 0 საჯარიმო ქულა;

არა უმეტეს 4 საჯარიმო 140 სმ სიმაღლის მარშრუტზე (ორი გიტი).

I თანრიგი

მიიღოს არა უმეტეს 12 საჯარიმო ქულა ერთ გიტში 150 სმ სიმაღლის მარშრუტზე ან 16 ორ გიტში;

არა უმეტეს 8 საჯარიმო ქულა 140 სმ სიმაღლის მარშრუტზე;

არა უმეტეს 4 საჯარიმო ქულა 130 სმ სიმაღლის მარშრუტზე;

II თანრიგი

მიიღოს არა უმეტეს 4 საჯარიმო ქულა გ სირთულის კლასში ან 0 საჯარიმო ქულა „საშუალო კლასის" მარშრუტზე.

III თანრიგი

საკლასიფიკაციო შეჯიბრებაში უსაჯარიმო ქულებოდ განვლოს „იოლი კლასის" მარშრუტი.

სათანრიგო ნორმებისა და მოთხოვნათა შესრულების პირობები

1. საკავშირო შეჯიბრებებზე სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობა შესრულებულად ითვლება თუ შეჯიბრებაში გამოდის სულ ცოტა 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

2. საცხენოსნო სპორტში სპორტის ოსტატობის მოთხოვნები I ჯგუფში სრულდება სეზონში ერთხელ, II და III ჯგუფებში (მათ შორის ერთხელ II ჯგუფში ცხენის გაწვრთნაში), სამჭიდის კროსის წინაღობების ზომებისა და ტიპების, სსრ კავშირის სპორტსახკომის სპორტის გამოყენებითი სახეობების სამმართველოს მიერ დამტკიცებული მსჯართა კოლეგიის მიერ დამტკიცებული პირობებით ცხენის გაწვრთნასა და სამჭიდის კროსში.

3. სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და I თ. სათანრიგო ნორმა სრულდება არა უმცირეს III ჯგუფის შეჯიბრებაზე II, III თ. — ნებისმიერი მაშტაბის შეჯიბრებაზე.

4. სამჭიდის სრულ პროგრამად ჩაითვლება კროსის დისტანცია — 6270 მ და მეტი, შემოკლებული პროგრამა სამჭიდის — კროსის დისტანცია არა უმცირეს 4680 მ სამჭიდის შემოკლებულ პროგრამაში (ა, ბ, გ, დ) შედის ცხენის გაწვრთნა, საველე გამოცდა ა, ბ, გ, დ მონაკვეთებით, წინაღობათა გადალახვა. სამჭიდის შემოკლებულ პროგრამაში (ა, დ) შედის ცხენის გაწვრთნა, საველე გამოცდა ა, დ მონაკვეთები, წინაღობათა გადალახვა. სიძნელის კოეფიციენტი II და III ჯგუფის შეჯიბრებებში — 1,0.

5. II და III ჯგუფებში წინაღობათა გადალახვაში შეჯიბრებაზე წინაღობათა სიმაღლე და რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს შეჯიბრების მოთხოვნებს.

6. ცხენის გაწვრთნაში სათანრიგო ნორმებად მიჩნეულია მიღებული დადებითი ქულების პროცენტი, სამჭიდსა და წინაღობათა გადალახვაში — საჯარიმო ქულები.

შეჯიბრებების ჯგუფები

I ჯგუფი. რსფსრ-ის ხალხთა სპარტაკიადა, სსრ კავშირის ჩემპიონატი, სსრ კავშირის თასი, საკავშირო შეჯიბრება, რომელსაც სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი ატარებს, ევროპის პირველობა (მოზარდები, იუნიორები), საერთაშორისო შეჯიბრებები, სსრ კავშირის პირველობა (მოზარდები, იუნიორები), საკავშირო ახალგაზრდული თამაშები.

II ჯგუფი. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებისა და უწყებების საკავშირო ჩემპიონატები, რსფსრ-ის, უკრაინის სსრ, მოსკოვის, ღია (ერთობლივი) მოკავშირე რესპუბლიკების ჩემპიონატები სულ ცოტა სამი ორგანიზაციის მონაწილეობით, საკავშირო შეჯიბრებები (თამაშები).

III ჯგუფი. ჩემპიონატები და პირველობები (მოზარდთა) მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის პროფკავშირების სპორტსაზოგადოებისა და უწყებების, რომლებიც არ შედის II ჯგუფში, ჩემპიონატები და პირველობები (მოზარდები) ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო, საოლქო, საქალაქო, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ან უწყებათა საოლქო საბჭოების, არა უმცირეს 2 ორგანიზაციის მონაწილეობით.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 84, 86, 92.

რატომ ვნდა ერისწაჭრდეს ბიბლიოთეკა საჯარიმოში?

ამ ხათაურით გამზადებული წერილი „ლელოში" აღარ დაიბეჭდება. იმ საჭიდაოს, რომელიც ვარიანის სახჭოთა მეურნეობამ ამ რამდენიმე წლის წინათ გააშენა, არავითარი საფრთხე აღარ ემუქრება. რედაქციაში გუშინწინ გვაცნობეს, რომ მეურნეობის ხელმძღვანელობას ახლახანს საჭიდაოს გაუმქმება გადაუწყვეტია და არენის გადახახურა სამშენებლო მასალაც სხვაგან წაუღიათ. უმალვე დავუკავშირდით გორის სახალხო დეპუტატების რაიხაბჭოს აღმასკომს. აღმასკომის თავმჯდომარე რ. ჯავახიშვილი დავეპირდა, რომ სასწრაფოდ გაარკვევდა ყველაფერს. საკითხი მართლაც ოპერატიულად შეუსწავლიათ. გუშინ დილით თავმჯდომარემ გვაცნობა: საქაშეთში საჭიდაო არენა არ გაუქმდება და იგი წელსვე გადაიხურებაო. გაუგებრობა გამოწვეული იყო მეურნეობის ძველი ხელმძღვანელების შეცვლასთან დაკავშირებით.

რედაქციის სახელით აღმასკომის თავმჯდომარეს რ. ჯავახიშვილს მადლობას მოვახსენებთ სოფლის ახალგაზრდობის მოთხოვნაზე სასწრაფო რეაგირებისა და საკითხის სამართლიანი გადაწყვეტისთვის.

მეშვიდე ჟურნალისტური სპარტაკიადა

ყვარლის რაიონში პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ეგიდით მიმდინარეობდა მეშვიდე მეორე სპარტაკიადა. სოფელ ენისელის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ჩატარდა შეჯიბრება მკლავჭიდსა და საწონების აწევაში. მკლავჭიდში მონაწილეობდა 6 გუნდის 30 სპორტსმენი. გუნდური გამარჯვება მოიპოვა შოფრების გუნდმა, პირად პირველობაში კი ყველას აჯობა მეურნეობის მუშამ ნოდარ კირკიტაძემ.

დაძაბულად მიმდინარეობდა შეჯიბრება საწონების აწევაში. აქ თავი გამოიჩინა ადმინისტრაციის გუნდმა. პირად პირველობაში, როგორც მკლავჭიდში, ნ. კირკიტაძე კვლავ უძლიერესი იყო (41 აწევა). მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად მოიპოვეს ვ. ლეგაშვილმა და გ. შევერდოშვილმა.

თ. წოწორიაშვილი,
პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ყვარლის რაიხაბჭოს თავმჯდომარე.

გაიმარჯვებს თბილისელმა მოსწავლემ

პიატიგორსკში გაიმართა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 44-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ კალათბურთელთა (1975-1976 წწ. დაბადებულნი) საკავშირო შეჯიბრება. ასპარეზობაში მონაწილეობდა გოგონათა ათი და ჭაბუკთა რვა გუნდი.

ტურნირის დღეებში მოსწავლე კალათბურთელები შეხვდნენ ომის ვეტერანებს და მათგან ბევრი საინტერესო ამბავი გაიგეს ფრონტელთა ცხოვრების შესახებ. როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის ჭამპიონობა თბილისის გახანგრძლივებული დღის სწავლების ექსპერიმენტული ოლიმპიური რეზერვის კალათბურთის 58-ე საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. მათ ყველა მეტოქე დაამარცხეს და მთავარ პრიზებსაც დაეპატრონენ.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ცოტაოი ადრე გაიმართა 1973-1974 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობა, რომელიც სამეტაპად ჩატარდა და ამ სკოლის გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა.

ბათუმელები საერთაშორისო ტურნირზე

უკვე მერამდენედ მიხდება ბათუმელი მწვრთნელის ვიქტორ მალიუტინის აღსაზრდელთა წარმატებებზე წერა. მათ შორის, ვინც ვ. მალიუტინმა ბადმინტონს აზიარა, არიან ქვეყნისა და რესპუბლიკის ჩემპიონები და პრიზიორები, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულნი.

ახლახანს გამართულ მოსკოვის მოზარდთა პირველ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ ბულგარეთის, პოლონეთის, უნგრეთისა და ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები, ბათუმის 24-ე საშუალო სკოლის მეცხრე კლასელები არტურ ხაჩატურიანი და ანდრეი კუტეპოვიც გამოდიოდნენ. ამთავითვე აღვნიშნავ, რომ ის იყო ბათუმელი ახალგაზრდა ბადმინტონისტების ჭეშმარიტად ტრიუმფალური გამოსვლა. ერთეულთა თანრიგის ჭაბუკთა ფინალი — ბათუმური იყო: ხაჩატურიანი — კუტეპოვი. დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა ხაჩატურიანმა. წყვილთა თანრიგშიც ბათუმელთა ამ დუეტმა გაიმარჯვა. და ბოლოს, შერეულ წყვილთა ფინალში, ისევ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები, მეწყვილედ კი ჰყავდათ: ხაჩატურიანს — ომსკელი ნინა პავლენკო, ხოლო კუტეპოვს — ვლადივოსტოკელი ოქსანა ლარჩენკო. ტურნირის მთავარი პრიზი ხაჩატურიან—პავლენკოს დუეტს გადაეცა. მათ მეტოქეები დაამარცხეს ანგარიშით 2:0.

ამ სასიხარულო ცნობის მიღების შემდეგ რამდენიმე კითხვით მივმართე ვ. მალიუტინს.

● უპირველესად მოგილოცავ აღსაზრდელთა ახალ წარმატებას.

— გმადლობთ.

● უკანასკნელ ხანს, ხშირად მიხდება წერა თქვენი აღსაზრდელების წარმატებებზე. ხომ არა გაქვთ რაიმე „საიდუმლო" ეფექტური მუშაობისა?

— საიდუმლო? არა, რა თქმა უნდა. უბრალოდ ბევრს ვვარჯიშობთ. პირობებიც დამაკმაყოფილებელი გვაქვს. რაც მთავარია, ახლა ბათუმში ერთობ პოპულარულია ბადმინტონი. ხშირად ეწყობა სხვადასხვა რანგის ტურნირები. ყოველივე ამან ჭარბად მიიზიდა ბავშვები. მასობრიობა კი, მოგეხსენებათ, წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ერთი კია: აი, ინვენტარი რომ უფრო ხარისხიანი გვქონდეს...

● ეგ მარტო ბადმინტონისტების პრობლემა არ არის. როგორ გაფასებენ მოწაფეები გაწეულ ამაგს?

— განა ამაგის დაფასება არ არის თითოეულის მიღწევა? მათი მზარდი ოსტატობა? ჩემის აზრით მწვრთნელისათვის ეს ყველაზე დიდი ჯილდოა გაწეული შრომისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ შენი აღზრდილი სპორტსმენი არა მარტო ჩემპიონი იყოს, არამედ სანიმუშო მოქალაქეც, საზოგადოების ღირსეული წევრი. მეამაყება, რომ ჩემს აღსაზრდელებს, აღზრდილებს ეს თვისებები არ აკლიათ. მოსკოვის ტურნირზე, სადაც ჩვენი ბიჭები ასე წარმატებით გამოვიდნენ, დაწესებული იყო გარკვეული საპრიზო ფონდი. ბიჭებმა მე, გამარჯვებულთა მწვრთნელს კონვერტში ჩადებული 120 მანეთი ჩამომიტანეს. ეს უკვე რაღაც ახალი ფორმაა მწვრთნელთა მატერიალური წახალისებისა, რაც არცთუ ნაკლებმნიშვნელოვანია ჩემი კოლეგების მუშაობის გარდასაქმნელად, თუ ეს აუცილებლობას წარმოადგენს, რა თქმა უნდა.

● გისურვებთ უფრო თვალსაჩინო მიღწევებს. ბადმინტონი, თუ არ ვცდები, ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს და...

— ბათუმში ოლიმპიური ჩემპიონებიც აღზრდილიყოს, არა? — გმადლობთ.

ლევან ქავთარაძე.



(დასასრული)

გულშემატკივრებს, კეთილი მიზნები და მისწრაფებანი გვამოძრავებდა, თვით საქმე კი — საკავშირო ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან ბრძოლის მოგების საქმე — უშუალოდ თბილისელ ფეხბურთელებს უნდა გაეკეთებინათ, ეს კი, დაგვეთანხმებით, ფრიად რთული, ფრიად ძნელი ამოცანა გახლდათ. გუნდს უნდა ეთამაშა ისე, როგორც არასდროს, ეს მისია გუნდმა პირნათლად შეასრულა. უკლებლივ ყველა მოთამაშეს, რომელიც კი ამ დღეს საპარტაკელებთან ჩაბმული იყო უშეღავათო პაექრობაში, უფლება ჰქონდა თავაწეული, შესრულებული მოვალეობის ამაყი გრძნობით აღვსილი გამოსულიყო აბრძოლო მინდვრიდან. და მაყურებელთა გულმხურვალე ტაში, რომელიც მთელმა კოლექტივმა, მისმა ხელმძღვანელობამ დაიმსახურა, მათზე ალალზე ალალი და უპრიანია. თითოეულმა დინამოელმა კეთილშობილურად გააკეთა თავისი ძნელი საქმე, გააკეთა ის, რაც მას ევალებოდა და ცოტა მეტიც კი! ამისთვის დიდი მადლობა თითოეულ მათგანს. არც ის იყო გასაკვირი, რომ უძნელესი თამაშის დამთავრების შემდეგ მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდის უფროსი ნ. სტაროსტინი იქვე, მინდორზე მივიდა თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელებთან და ასეთი კარგი თამაში მიულოცა დ. ყიფიანს, მ. ხურცილავას, ვ. გუცაევს.

არც ის იყო გასაკვირი, რომ საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი პრიზი გადაეცა არა ერთ რომელიმე დინამოელ ფეხბურთელს, ვინაიდან საუკეთესოს განსაზღვრა ამ დღეს პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, არამედ მთლიანად მთელ კოლექტივს.

თამაშის დასაწყისში დინამოელთა უპირატესობა გამოკვეთილად არ ჩანდა. მოსკოველები, ეტყობა, მოელოდნენ მათს თავგანწირულ, ენერგიულ თამაშს, ამიტომაც ბურთის ხშირი გათამაშება აცადეს შუა მინდორზე, მათი ვარაუდით დინამოელებს მატჩის დასაწყისში ბევრი ენერგია უნდა დაეხარჯათ და დაღლილობა შემდგომში აუცილებლად იჩენდა თავს. მაგრამ დრო გადიოდა და მასპინძლებს დაღლისა არაფერი ეტყობოდათ, ისინი კოლექტიურად, ერთსულოვნად ძალების დაუზოგავად იბრძოდნენ მთელ მინდორზე, ყოველ რგოლში, დაძაბულობა თანდათან მატულობდა, თამაშის სიმძიმე სულ უფრო მეტად ინაცვლებდა სპარტაკელთა კარისკენ. იყო რამდენიმე მომენტი, რომლებიც გოლით უნდა დამთავრებულიყო, კარგი შესაძლებლობანი ვერ გამოიყენეს ჯიშკარიანმა, კაჭარავამ.

მოსახდენი კი 34-ე წუთზე მოხდა. თბილისელებმა მარჯვენა ფრთიდან მოაწოდეს კუთხური. „სპარტაკის“ საჯარიმო მოედანზე ორივე გუნდის მრავალმა მოთამაშემ მოიყარა თავი და ამ რთულ ვითარებაში ბრწყინვალედ ითამაშა „დინამოს“ ცენტრალურმა მცველმა ცხადაძემ. იგი შორი მანძილიდან ჩაერთო შეტევაში, დაასწრო ყველას და თავით გაიტანა ეფექტური გოლი, რომელსაც ყველა რანგის ოსტატი მოაწერდა ხელს. ეს გოლი, ჩვენი აზრით, საბჭოთა ტელევიზიის „საფეხბურთო მიმოხილვის“ კონკურსის ერთ-ერთი პრიზის უეჭველი კანდიდატია.

1:0 მოსკოვის „სპარტაკთან“, როცა წინ კიდევ მთელი საათია სათამაშო, თითქოს, ბევრს არაფერს ნიშნავს. როგორც მოსალოდნელი იყო, სტუმრებმა ტაიმის დამთავრებამდეც და მეორე ნახევარშიც მთელი თავიანთი მაქსიმუმის დონეზე ითამაშეს. 53-ე წუთზე კუზნეცოვს და კაპუსტინს ზედიზედ შეექმნათ ბეთი ორი მომენტი, რომლებსაც ისინი ჩვეულებრივ ხელიდან არ უშვებენ, მათ მთელი თავიანთი ოსტატობაც იხმარეს, მაგრამ „დინამოს“ მეკარე ზ. ხაპოვმა ორივეჯერ ჩინებული რეაქცია გამოიჩინა და ზედიზედ გადაარჩინა თავისი გუნდი. სპარტაკელებს სხვა მომენტებიც ჰქონდათ, კერძოდ, როდიონოვს, იმავე კაპუსტინს, მაგრამ ეს შესაძლებლობანი მათ მაინც მხოლოდ კონტრიერიშების დროს, ეპიზოდურად ჰქონდათ, თვით თამაში კი, უდავოა, თბილისელთა კარნახით მიმდინარეობდა. მობილიზებული იყო ყველა, ერთმანეთს მხარში ედგა უკლებლივ ყველა, თუ მინდვრის რომელიმე ნაწილში თბილისელი მოთამაშე შეცდომას დაუშვებდა, მაშინ დაუყოვნებლივი გამოსწორებისთვის წამსვე მზად იყო რამდენიმე უახლოესი პარტნიორი. დაახლოებით 15-20 წუთის განმავლობაში „დინამოს“ დაცვა გაძლიერებული ალებით უმკლავდებოდა მეტოქეს. ამ მძიმე პერიოდს გუნდმა წარმატებით გაართვა თავი, შემდეგ კი მასპინძლებმა კვლავ გამოიჩინეს თავი, კვლავ ამოქმედდა დინამოელთა საიერიშო ძალა.

მიმდინარეობდა მატჩის 79-ე წუთი, როცა თბილისელთა რიგებში ახლად გამოსული ქეცბაია უხეში თამაშით წააქცია ბუბნოვმა. დარღვევა აშკარა იყო და მსაჯმაც დაუყოვნებლივ მიუთითა 11-მეტრიანზე.

ეს გოლი არსებითად გამარჯვების ნაღდი გარანტია გახლდათ. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა მეტისმეტად დიდი იყო, ნერვიულობაც და ჯიშკარიანმა, რომელსაც გუნდმა დარტყმაც შესრულება მიანდო, ვერ შეძლო ბურთის გატანა. ჩერჩესოვმა მიუსწრო დარტყმას, მაგრამ ჯიშკარიანი უველაზე ადრე გაჩნდა ბურთთან, გოლიც უნდა გაეტანა, როცა სპარტაკელებმა ხელმეორედ დაარღვიეს თამაშის წესი. უნიკალური შემთხვევაა, როცა ასეთ სიტუაციაში ზედიზედ ორი პენალტი ინიშნება, მაგრამ მსაჯმა მეორედაც უყოყმანოდ დანიშნა 11-მეტრიანი. დარტყმაც შესრულება ამჯერად გოგიჩაიშვილმა ითავა და, თუმცა, ჩერჩესოვი კიდევ ერთხელ მიწვდა ბურთს, მისი მოგეორება მაინც ვერ შეძლო, „სპარტაკი“ ხელმეორედ მოუხდა თამაშის დაწყება ცენტრიდან — 2:0.

დარჩენილი 10 წუთი წარმოუდგენლად დაძაბულ, უძნელეს ბრძოლაში მიმდინარეობდა, სტუმრების ყოველ ცდას წინ ეღობებოდა დინამოელთა თავგამოდებული თამაში და როცა დ. მედვედცკის თამაშის დამთავრება აღნიშნა, მხოლოდ მაშინ ვირწმუნეთ ბრული სიცხადით, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი, პრინციპული, არა მარტო თბილისის „დინამოს“, არამედ მთელი ქართული სპორტისთვის ერისშესანიშნავი მატჩი მოგებული იქნა. თბილისის „დინამომ“ ამ ნაბიჯს შესანიშნავად გამოავლინა თავისი პოტენციური შესაძლებლობანი, ამგვარი გამარჯვებები ახლა ჰაერივით ესაჭიროება ქართულ სპორტს და ისიც გვინდა ვთქვათ, რომ ჩვენმა გუნდმა მომავალშიც ასეთივე შემართებით და მონდომებით, ასეთივე ოპტიმიზმით უნდა ითამაშოს.

ფეხბურთის დილეტანტებს თბილისის „დინამომ“ საჭიროა დაუმტკიცოს, რომ მას შესწევს მრისხანე მეტოქეთა ძლევის უნარი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ უკლებლივ ყველა მატჩში ასეთი თავგამოდების გამოჩენა ადამიანს ძალუძს. სპორტში ამგვარი ამბები ძნელად ხდება, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში ეს მაინც უნდა გაკეთდეს, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ჩვენი სპორტის მებაირახტრეთა შორის უნდა იმყოფებოდნენ. თავიანთი ძალა მათ უნდა დაუმტკიცონ მტერსაც და „მოყვარესაც“.

ზ. ქორქია.

თბილისის დინამოელები გავიდნენ თასის ნახევარფინალში, აქ მათი მეტოქეა ჩვეულის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

გუშინ გაიმართა თასის ნახევარფინალური მატჩი, მოსკოვის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს კიევის „დინამო“. გაიმარჯვა „ტორპედომ“ — 2:0.

საპატიო პრიზი—„ნაპოლის“

17 მაისს შედგა უეფა-ს თასის საპასუხო ფინალური მატჩი. პირველი შეხვედრა იტალიის „ნაპოლის“ ფეხბურთელებმა ჭ. ნეაპოლში მხოლოდ მინიმალური სხვაობით მოუგეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შტუტგარტს“ — 2:1, მოსალოდნელი იყო, რომ დასავლეთგერმანელი ფეხბურთელები საპასუხო მატჩში თავიანთ მინდორზე შეძლებდნენ საჭირო ანგარიშით რევანშის აღებას, მაგრამ „ნაპოლიმ“ მეტოქის მინდორზე ძლიერად ითამაშა და შეძლო საპატიო პრიზის მოპოვება.

მატჩი შტუტგარტში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მათ მე-18 წუთზე მეტოქის სწრაფი კონტრშეტევა გამოეპარათ და „ნაპოლს“ შემადგენლობაში მოთამაშე ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ალემაომ ახლო მანძილიდან გაბსნა ანგარიში. საპასუხო ბურთი 37-ე წუთზე გაიტანა კლინსმანმა და მაშინ, როცა „შტუტგარტმა“, თითქოს, საფუძვლიანად ხელთ აიღო ინიციატივა, მის კარშა მეორე ბურთი აღმოჩნდა. ეს გოლი მარადონას გადაცემით გაიტანა ფერარამ — 2:1.

ასევე მიმდინარეობდა თამაშის მეორე ნახევარიც, საერთო უპირატესობას „შტუტგარტი“ ფლობდა, მაგრამ 62-ე წუთზე მარადონამ გარღვევაზე გაიყვანა კარეკა და მან მესამე ბურთი გაიტანა დასავლეთგერმანელთა მეკარე ა. იმელის კარში.

მატჩის დასასრულამდე „შტუტგარტმა“ 2 ბურთი გაიტანა (დი ნაპოლიმ საკუთარ კარში 70-ე წუთზე და შემდეგ 90-ე წუთზე), მაგრამ მეტი მაინც ვერ შეძლო, თამაში ფრედ დაბოლოვდა — 3:3 და ორი მატჩის ჯამში წარმატება „ნაპოლის“ ხვდა, რომელმაც პირველად მოიპოვა ეს საპატიო პრიზი. გუნდის ამ წარმატებას უკავშირებენ არგენტინელი მარადონას და ბრაზილიელი ფეხბურთელების კარეკას და ალემაოს საუკეთესო თამაშს.



I ლიგა

გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების X ტურის შეხვედრები.

„დინამო“ (ბათუმი) — „კოტაიკი“ (ცხინვალი) 1:0 (0:0).
ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი, 18 მაისი.

„დინამო“: ბალაძე, გოგატიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, ჯოხაძე, მ. მახარაძე, ათუაშვილი (ვ. მახარაძე), ბიგვავა, უვარია, ზედანია (უგრეხელიძე).

„კოტაიკი“: სუქიასიანი, ხაჩატრიანი, ბაღდასარიანი (ქოჩარიანი, გევორკიანი), მექონიანი, ბლუკოვი, ხ. პოლოხიანი, აკოფიანი, უპოლოხიანი (ახლანიანი), ადამიანი, გალსტიანი, მხითარიანი.

მსაჯი ა. ბლინკოვი (ტაშკენტი). გაიფრთხილეს უგრეხელიძე.

ბათუმელმა ფეხბურთელებმა დასაწყისიდანვე მონდომებით იბრძოლეს აბოვიანის ძლიერი გუნდის წინააღმდეგ. მართალია, დროდადრო იქნენ ინდივიდუალური თამაშით ერთობოდნენ, მაგრამ უპირატესობა საკმაოდ მტკიცედ ეპყრათ. „კოტაიკი“ მხოლოდ საპასუხო იერიშებით კმაყოფილდებოდა, ერთ მომენტში მხითარიანმა ვერ გამოიყენა ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა კიდევ უფრო გააძლიერეს დაწოლა, 57-ე წუთზე ერთ-ერთი იერიშისას კარგად ითამაშა ბიგვავამ და ზუსტად დაარტყა მიზანში — 1:0.

თამაში კიდევ — უფრო დაძაბა. „კოტაიკს“ ჰქონდა საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა, დინამოელთა კარი გადაარჩინა ჯერ დურდიაძემ, შემდეგ — ბალაძემ, მაგრამ ამავე დროს „კოტაიკის“ კარიც იხსნა ძელმა ზედანიას დარტყმის შემდეგ. საინტერესო, შინაარსიანი თამაში დამთავრდა ბათუმელთა გამარჯვებით.

ლევან ქავთარაძე. („ლელოს“ საკ. კორ.).

• • •

წარმატებას მიაღწიეს ქუთაისის ტორპედოელებმა, რომლებმაც კრასნოდარში ითამაშეს „ყუბანთან“. ტორპედოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1.

ამ დღეს გამართულ სხვა შეხვედრათა შედეგები: „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — ასკ (დონის როსტოვი) 3:2, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 3:2, „ფახთაჩორი“ (ტაშკენტი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 4:0, „კაირატი“ (ალმაათა) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 3:1, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 3:1, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „დაუგავა“ (რიგა) 2:1, „დინამო“ (სტავროპოლი) — ცსკა 3:3.

• • •

ბუშინ ლანჩხუთის „გურიამ“ მიიღო კემეროვოს „კუზბასი“. თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:0.

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის ჯაფეხბურთო ჩემპიონატის IX ტურის შეხვედრები.

„ხიონი“ (ბოლნისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 3:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლები: ქობულაძე, ლაზარევი-2 („ხიონი“), სირაძე (პოლ. ინსტ.).

„სამგრელო“ (ჩხოროწყუ) — „არაგვი“ (დუშეთი) 2:1. მსაჯი ნ. მუხაშავრია (ბათუმი). გოლები: გოგუა, შამათავა („სამგრელო“), ყვავლაძე („არაგვი“).

„დინამო“ (გაგრა) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0. მსაჯი ო. გაგუა (სოხუმი). გოლები: პიპინავა, მანაგაძე („დინამო“).

სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ოჩამჩირელი ფეხბურთელი დ. ძიმიტარიშვილი, ხოლო ამის შემდეგ მსაჯთან კამათისთვის იგი ჩინდრიდან გააძევეს.

„სპოვნელა“ (თერჯოლა) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სულორი“ (ვანი) 2:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: მარღელი, რომელიშვილი, („სპარტაკი“), დვალიშვილი („სულორი“)

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „მზიური“ (გალი) 4:0. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: წიქარიშვილი, იობიძე, ჯანაშია, ფუსტვენიძე („შადრევანი“).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:0. მსაჯი მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი).

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: ღვალაძე, ტეფნაძე-2 („მაღაროელი“), ნასუაშვილი, შონია (ფიზკ. ინსტ.).

„სჭური“ (წალენჯიხა) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:2. მსაჯი მ. კობაიშვილი (თბილისი). გოლები: ფიფია, კვარაცხელია, მატუა („სჭური“), უანლავაშვილი, მამულაშვილი („არმაზი“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ივერია“ (ხაშური) 1:1, მსაჯი ი. შალამბერიძე (თბილისი). გოლები: გაგნაშვილი („ბახტრიონი“), ნოზაძე („ივერია“).

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„გარისი“ — სპორტ. ინტ. (თბილისი) 2:0, თსუ — „გარეჯი“ 1:0, „ქოლმეურნე“ — „ალაზანი“ 0:2, „შირაქი“ — „მიონი“ 1:0, „განთიადი“ — „ჰერეთი“ 1:2, „ქიზიყი“ — „ალგეთი“ 1:3, „კახეთი“ — „სამგორი“ 4:2.

ცენტრალური ქვეჯგუფი

„რაჭა“ — „მამისონი“ 0:5, „იბერია“ — „ჩიხურა“ 2:2, „ფარავანა“ — „აბული“ 0:4, „ლიახვი“— „მესხეთი“ 2:1, „ზარზმა“ — „ჩხერიმელა“ 0:1, „მეშახტე“ — „განთიადი“ 6:0, „ქართლი“—„ვარძია“ 5:1, „აირმე“ — „თორი“ 2:0.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„ბეთლემი“ — „სუბტროპიკი“ 4:3, „მშენებელი“ — „ფაზისი“ 2:2, „მეშახტე“ — „ბახმარო“ 4:1, „ზანა“— „ჩიბათი“ 4:1, „მენავთობე“ — „ოდიში“ 2:1, „ხვამლი“ — პოლ. ინსტ. (ქუთაისი) 1:3, „სალხინო“ — „დარჩელი“ 2:2.

ბათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მაღაროელი“	8	5	3	0	15-6	13
„სპარტაკი“	8	5	2	1	16-6	12
„შადრევანი“	7	4	3	0	13-3	11
„მეტალურგი“	8	4	3	1	11-4	11
„სამგრელო“	8	4	1	3	9-11	9
„ხიონი“	8	4	0	4	14-12	8
სპი-თბ.	6	3	2	1	15-9	8
„სჭური“	8	3	2	3	11-12	8
„მზიური“	7	2	4	1	8-8	8
„სპოვნელა“	8	3	1	4	8-8	7
„დინამო“ გ.	6	3	1	2	13-14	7
„ამირანი“	6	2	3	1	8-5	7
„დინამო“ ზ.	6	2	2	2	11-8	6
„სულორი“	7	2	2	3	10-11	6
„არაგვი“	8	2	1	5	8-15	5
„დურუჯი“	7	2	1	4	8-16	5
„ივერია“	8	1	3	4	10-15	5
ფიზკ. ინსტ.	7	2	0	5	11-16	4
„არმაზი“	7	1	2	4	5-9	4
„ბახტრიონი“	8	0	2	6	7-23	2

იტალია-90

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

ბანგლი ოთხშაბათს გაიმართა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი ევროპის ზონის I ჯგუფში.

დანიელმა ფეხბურთელებმა კოპენჰაგენში მიიღეს საბერძნეთის ნაკრები და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით 7:1.

ბუქარესტში ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთისა და ბულგარეთის გუნდები. თამაში მოიგეს რუმინელებმა — 1:0.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
რუმინეთი	4	3	1	0	7-1	7
დანია	4	2	2	0	11-3	6
საბერძნეთი	4	0	2	2	2-11	2
ბულგარეთი	4	0	1	3	2-7	1

ლიბიის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად შეატყობინა ფიფა-ს, რომ მისი გუნდი უარს ამბობს შესარჩევ თამაშებში მონაწილეობაზე. ლიბიელები აფრიკის ზონის „ა“ ჯგუფში გამოდიოდნენ ალჟირის, კოტ დივუარისა და ზიმბაბვეს გუნდებთან ერთად. ლიბიელებმა ერთი მატჩი ჰქონდათ ჩატარებული კოტ დივუარის გუნდთან (0:1), შემდეგ ისინი არ გამოცხადნენ ალჟირის ნაკრებთან სათამაშოდ, რისთვისაც დამარცხება ჩაეთვალათ (0:2), ახლა კი ცნობილი გახდა, რომ აფრიკის ზონის „ა“ შესარჩევ ჯგუფში შეჯიბრებას მხოლოდ 3 გუნდი განაგრძობს.

გია წივწივაძე ერთგული ბიბლიოთეკა

სპორტახთვის არის დაბადებული — აუცილებლად ატყობდით გია წივწივაძის შემხედვარე. ალბად და ღონიერ ყმაწვილს არ გასჭირვებია გადაბიჯება იმ ზღურბლისა, რომლის იქით სპორტის მომხიდველი სამყარო იწყება. 1958 წელს წულუკიძეში დაბადებულმა ბიჭმა ურმობა იმ ქალაქში გაატარა, ჭართული სპორტის ამოუწურავი მადანი რომაა დაფლული — ჭუთაისში. სპორტი მისთვის ოჯახური ტრადიციაც იყო — მამამისი — კიზო წივწივაძე ჭუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა. სკოლის წლებში გია კალათბურთში გაატაცა, მერე, სტუდენტობაში, არმიის რიგებში გაწვეულმა, აკადემიურ ნიჭობსნობაში სცადა ბედი, ხაბოლოდ კი რაგბი ირჩია — სპორტის ის სახეობა, რომელმაც სრულად გამოამჟღავნა მისი ნიჭი და რომელმაც უყვარებინა მისი ნიჭი და რომელმაც უყველაზე დიდი სიხარული მოუტანა მას. გია წივწივაძე 1981 წელს, სწორედ მაშინ ჩაირიცხა „მშენებელში“, ჭუთაისელ მორაგბეთა ალმავლობა რომ დაიწყო და თანაგუნდელებთან ერთად იგიც თანაზიარია იმ დიდი წარმატებებისა, რასაც გუნდმა მიაღწია ამ წლებში — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები, საკავშირო თასი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონობა. ამ ფეხბედნიერ წლებს დაემთხვა მისი პირადი ბედნიერებაც — დაოჯახდა, ორი ქალიშვილის მამა გახდა.

ახე გვეგონა, ბუნებას არაფერი დაუშურებია მისი ბედნიერებისთვის. რა ვიცოდით თუ განგება მხოლოდ სამ ათეულ წელს მოუზომავდა სიცოცხლისათვის. შერკინებაში მოურეველი ვაჟკაცი უკურნებელ ხენთან დამარცხდა, მაგრამ ამ სამაგალითოდ გულისხმიერი ახალგაზრდის, ნიჭიერი სპორტსმენისა და შესანიშნავი მეგობრის ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლების, თანაგუნდელების და გულშემატკივრების გულში.

რაგბის რესპუბლიკური ფედერაცია,
ოსტატ მორაგბეთა გუნდი „აია“,
ჭუთაისის სპორტკომიტეტი,

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჟ. აველანჟის საინსპექციო ვიზიტი

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა ამას წინათ საინსპექციო მიზნით იმოგზაურა იტალიაში, სადაც შეამოწმა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების მიმდინარეობა.

ჟ. აველანჟმა განაცხადა, რომ იტალიელებმა დიდი საქმიანობა ჩაატარეს, ყველა სტადიონი, სადაც მსოფლიო ჩემპიონატის თამაშები უნდა ჩატარდეს, კარგ მდგომარეობაშია, პრობლემა მხოლოდ ახალი სტადიონის მშენებლობაა ქ. ტურინში.

ფიფა-ს პრეზიდენტის საპატივცემლოდ მოეწყო პრესკონფერენცია, აქ გამოაცხადეს, რომ წინასწარი მონაცემებით მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის გათამაშებას სულ 16 მილიარდამდე ტელემაყურებელი ეყოლება.

„ზენიტის“ ახალი მწვრთნელი

ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელთა მწვრთნელებმა ს. ზავიდონოვმა და ლ. ბურჩალკინმა განცხადებით მიმართეს ქ. ლენინგრადის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას, რომ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით აღარ აპირებენ გუნდთან მუშაობას.

ს. ზავიდონოვისა და ლ. ბურჩალკინის თხოვნა დააკმაყოფილეს, „ზენიტის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე რეკომენდებულია სპორტის ოსტატი ვ. გოლუბევი, რომელიც ამჟამად „ზენიტის“ სათადარიგო შემადგენლობასთან მუშაობს.

მარკო ვან ბასტენი — მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი

ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი მარკო ვან ბასტენი, რომელიც ამჟამად იტალიის „მილანში“ გამოდის დაასახელეს მსოფლიოს 1988 წლის საუკეთესო ფეხბურთელად. მ. ვან ბასტენი შარშან დეკემბერში აღიარეს ევროპის საუკეთესო მოთამაშედ, ახლა კი იგი სამყაროს საუკეთესო ფეხბურთელია.

1988 წლის შედეგებით მსოფლიოში მეორე ადგილზე გავიდა არგენტინელი დიეგო მარადონა, რომელიც იტალიის „ნაპოლში“ გამოდის, ხოლო შესამე ადგილი მიეკუთვნა ჰოლანდიელ რუუდ გულიტს, რომელიც მ. ვან ბასტენის პარტნიორია „მილანში“.

ჩემპიონატის ეკო

ახალი შემადგენლობით

თავისუფალი სტილის მოჭიდაოთა ევროპის 32-ე ჩემპიონატი, რომელიც 12-14 მაისს ანკარაში ჩატარდა, ერთი არაებითი თავისებურებით გამოირჩეოდა. გუნდების უმრავლესობამ თურქეთის დედაქალაქში ახალგაზრდა მოჭიდაოეები ჩამოიყვანა. ოლიმპიადის შემდგომ სეზონში ასეთ ექსპერიმენტს ხშირად მიმართავენ ხოლმე და ამაში გასაკვირი არაფერი უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ლიდერებმა წარმყვანი პოზიცია, ფაქტიურად, შეინარჩუნეს. საბჭოთა კავშირმა ხუთი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს (შარშან 9 ოქრო და 1 ვერცხლი) მედალი მოიპოვეს, ბულგარელებმა კი შესაბამისად 3, 1 და 3 (შარშან 1, 1 და 6). თანაც არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენს გუნდში ფაქტიურად არც ერთი ოლიმპიელი არ გამოდიოდა (დ. გობეჯიშვილი, ლ. ხაბელოვი, მ. ხადარცევი, ა. ფაძაევი, ს. ბელოგლაზოვი და სხვ.).

წლევანდელი ტურნირის ერთი შტრიხი ისიც გახლავთ, რომ ხანგრძლივი შეჯვენების შემდეგ, რაც, რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული, მოწინავე ქვეყნების მწყობრში დაბრუნდა თურქეთის გუნდი. ეს ნაწილობრივ ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ თურქები შინ ჰიდაობდნენ. მაგრამ ასეა თუ ისე ერთი ოქროს, ოთხი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი იმაზე მიგვანიშნებს, რომ გუნდი გარკვეულ აღმავლობას განიცდის.

და კიდევ ერთი თავისებურება, რომლითაც ანკარის ჩემპიონატი აშკარად განსხვავდებოდა შარშანდელი ტურნირისაგან. წლევანდელ ასპარეზობაში მედლები მხოლოდ ექვსი ქვეყნის მოჭიდაოეებმა გაიბნელეს. იმ დროს, როცა შარშან ჩემპიონატის პრიზიორი ცხრა ქვეყანას ჰყავდა.

ვნახოთ როგორ განაწილდა ანკარაში მედლები ქვეყნებს შორის:

სსრ კავშირი	5	2	1
ბულგარეთი	3	1	3
თურქეთი	1	4	3
გფრ	—	1	2
გდრ	—	1	—
იტალია	—	—	1

შენიშვნა: 82 კგ წონით კატეგორიაში ოქროსა და ვერცხლის მედალი გუთამაშებელი დარჩა. ფინალის ორივე მონაწილე მსაჯთა გადაწყვეტილებით მოიხსნა.

გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა სრულ სიას:

48 კგ. 1. გ. მეჯლუმიანი (სსრ კავშირი), 2. ი. შიუქრიუოღლი (თურქეთი), 3. ჰ. რენერი (გფრ).

52 კგ. 1. ვ. იორდანოვი (ბულგარეთი) , 2. მ. კუშნირი (სსრ კავშირი), 3. ა. საიბალი (თურქეთი).

57 კგ. 1. ა. აკი (თურქეთი), 2. კ. აბდულდუდოვი (სსრ კავშირი), 3. შ. იურგენი (გფრ).

62 კგ. 1. ე. კამბეროვი (ბულგარეთი), 2. ჰ. კარსტენი (გდრ), 3. შ. ჯიოლანი (იტალია).

68 კგ. 1. ვ. კასაბოვი (ბულგარეთი), 2. გ. შვაბერლენდი (გფრ), 3. ი. დინჟანი (თურქეთი).

74 კგ. 1. ნ. გაჯიხანოვი (სსრ კავშირი), 2. ი. ველევი (ბულგარეთი), 3. ვ. შეკერი (თურქეთი).

82 კგ. 1-2 ადგილები არ გათამაშდა, 3. ე. ყაბრაილოვი (სსრ კავშირი).

90 კგ. 1. ვ. კაზიბეკოვი (სსრ კავშირი), 2. მ. ტიურკაი (თურქეთი), 3. გ. მარკოვი (ბულგარეთი).

100 კგ. 1. ა. საბეევი (სსრ კავშირი), 2. ხ. სეზგინი (თურქეთი), 3. ა. ნენჩევი (ბულგარეთი).

130 კგ. 1. ა. ხადარცევი (სსრ კავშირი), 2. ა. ტაშკინი (თურქეთი), 3. ვ. ბარბუტოვი (ბულგარეთი).

ჩოგბურთის და ველოსპორტის ამბები

გაიმართა ჩოგბურთელთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირი.

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ჰამბურგში მოეწყო ოთხი საჩვენებელი შეჯიბრება ქალთა შორის, რომლის ფინალშიც შტეფი გრაფი უნდა შეხვედროდა ნოვოტნას (ჩეხოსლოვაკია), მაგრამ ჩეხმა სპორტსმენმა ტრავმის გამო ვერ შესძლო კორტზე გამოსვლა. გრაფს გამარჯვება თამაშის გარეშე მიენიჭა. მიუხედავად ამისა, გრაფმა იმ დღეს მაინც ჩაატარა საჩვენებელი მატჩი ტაუზიატისთან და დაამარცხა იგი 6:1, 6:1.

საინტერესო ტურნირი მოეწყო აშშ-ში ფორესტ-ჰილის კორტებზე, სადაც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს პირველმა ჩოგბამა ივან ლენდლმა. მან წარმატებით განვლო ეს ტურნირი, რომელშიც თანმიმდევრულად დაამარცხა ამერიკელები ჯილბერტი 6:0, 6:1, აგასი 6:2, 6:3 და ფინალში სძლია საკმაოდ პერსპექტიულ იზაგას 6:4, 6:2.

საშრანგეთის ქალაქ ნიმის ოთხთა ტურნირში გამარჯვება იზეიმა ამერიკელმა ვეტერანმა ჯიმი კონორსმა.

ვაგაცნობთ ქალთა და ვაჟთა ბოლო რეიტინგის შედეგებს:

1. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), 2. ბეკერი (გფრ), 3. ედბერგი (შვეცია), 4. ვილანდერი (შვეცია), 5. აგასი (აშშ), 6. მაკინროუ (აშშ), 7. მუსტერი (ავსტრია), 8. ჰლასეკი (შვეიცარია), 9. კარლსონი (შვეცია), 10. მეჩერი (ჩეხოსლოვაკია).

1. გრაფი (გფრ), 2. ნავრატილოვა (აშშ), 3. საბატინი (არგენტინა), 4. ევერტი (აშშ), 5. სუკოვა (ჩეხოსლოვაკია), 6. ჰარისონი (აშშ), 7. ზვერევა (სსრკ), 8. შრაივერი (აშშ), 9. მ. მალეევა (ბულგარეთი), 10. პოტერი (აშშ).

• • •

პარიზი. საგზაკეცილო პროფესიონალ ველოსიპედისტთა მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველ ნომრად არის დასახელებული ფრანგი შარლ მოტე. შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით მისი რეიტინგი 819 ქულას შეადგენს. მოტეს მსოფლიო ველოსპორტის ლიდეროპა ირლანდიელ შონ კელის ჩამოართვა. სხვათა შორის, კელი 1984 წლიდან უძლიერეს პროფესიონალ ველოსიპედისტად იყო აღიარებული და შარშან დაუთმო პირველობა ფრანგს. ირლანდიელის რეიტინგი ამჟერად 760 ქულაა. სიაში მესამე ადგილზეა შარშანდელ „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებული ეპპანელი პედრი დელგადო — 719 ქულა.

მარსელი. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა ფრანგმა ქალმა ჟანი ლონგომ წარმატებით დაიწყო სეზონი — საფრანგეთის სამხრეთში მიმდინარე ჩრავალდღიანი რბოლის პირველი ეტაპი მოიგო. სტარტის წინ ლონგომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ წლის ბოლოს იგი სამუდამოდ მიატოვებს სპორტს.

„სპორტპროგნოზი“

22-ე ტირაჟის პროგრამა (27-28 მაისი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი რაგბში (უმაღლესი ლიგა)

27 მაისი.

1. „სლავა“ (მოსკოვი) — „ელმავალი“ (თბილისი)

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)

28 მაისი.

2. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „კირატი“ (ალმა-ათა)
3. „კოტაიკი“ (აბაკანი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)
4. „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „უუბანი“ (კრასნოდარი)
5. ასკ (როსტოვი) — „დინამო“ (ბათუმი)
6. ცსკა — „როსტსელმაში“ (როსტოვი)
7. „კუზბასი“ (კემეროვო) — „ფაკელი“ (ვორონეჟი)
8. „დაუგავა“ (რიგა) — „დინამო“ (სტავროპოლი)
9. ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „გურია“ (ლანჩხუთი)
10. „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი)
11. „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი)

იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში.

28 მაისი.

12. „იუვენტუსი“ (ტურინი) — „ფიორენტინა“ (ფლორენცია)

ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში.

28 მაისი.

13. „რეალი“ (სან-სებასტიანი) — „ესპანიოლი“ (ბარსელონა)

თბილისის 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი (ა. წერეთლის გამზირი № 2)

21 მაისი • ფეხბურთი

სსრ კავშირის თასი • ნახევარფინალი

„დინამო“ (თბილისი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)

დასაწყისი 19 საათზე

მატჩზე დასაწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 20 და 21 მაისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები შეუძლიათ შეიძინონ მე-7 სალაროში.

გ. დიმიტროვის სახ. სავიაციო ქარხნის სტადიონი „შევარდენი“

20 მაისი

ფეხბურთი

II ლიგა

„შევარდენი“ (თბილისი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი).

დასაწყისი 19 საათზე.

საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებისა და რესპუბლიკის სპორტსახკომის აპარატის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სამმართველოს უფროსს იროდი ბეზაშვილს მამის გარდაცვალების გამო.

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ამიჭდება ოფსეტური წესით სიგანეთი კორპუსში, ნიშანი ულის ქ. 29. შე 07158